

## საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №43

2005 წლის 24 იანვარი

ქ. თბილისი

### აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

აღმასრულებელ ხელისუფლებაში შრომის ანაზღაურების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

1. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 135 ლარით.

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №661-სსმIII, №168, 28.11.2007წ., მუხ.1860*

2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 4 250 ლარით.

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №661-სსმIII, №168, 28.11.2007წ., მუხ.1860*

3. საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 3 540 ლარით.

*საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება №112-სსმIII, №21, 15.02.2006წ., მუხ.244*

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება №521-სსმIII, №129, 14.09.2007წ., მუხ.1411*

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №661-სსმIII, №168, 28.11.2007წ., მუხ.1860*

*საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივლისის ბრძანებულება №474-სსმIII, №82, 08.07.2010წ., მუხ.1184*

3<sup>1</sup>. საქართველოს მთავრობის წევრისათვის პრემია გაცემა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს მთავრობის წევრი ინფორმაციას აწვდის საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს მთავრობის წევრისათვის პრემიის გაცემა შეიძლება განხორციელდეს ასევე საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ პრემიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად.

*საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 24 დეკემბრის ბრძანებულება №954-სსმIII, №157, 25.12.2009წ., მუხ.1878*

*საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის ბრძანებულება №77-სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ.154*

4. საქართველოს მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 2 950 ლარით.

*საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება №112-სსმIII, №21, 15.02.2006წ., მუხ.244*

*საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულება №762-სსმIII, №174, 26.12.2006წ., მუხ.2357*

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 20 ივნისის ბრძანებულება №376-სსმIII, №87, 22.06.2007წ., მუხ.936*

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება №521-სსმIII, №129, 14.09.2007წ., მუხ.1411*

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №661-სსმIII, №168, 28.11.2007წ., მუხ.1860*

*საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივლისის ბრძანებულება №474-სსმIII, №82, 08.07.2010წ., მუხ.1184*

5. საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსისა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 2 720 ლარით.

*საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება №112-სსმIII, №21, 15.02.2006წ., მუხ.244*

*საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულება №762-სსმIII, №174, 26.12.2006წ., მუხ.2357*

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება №521-სსმIII, №129, 14.09.2007წ., მუხ.1411*

*საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №661-სსმIII, №168, 28.11.2007წ., მუხ.1860*

6. (ძალადაკარგულია).

*საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 2 თებერვლის ბრძანებულება №56-სსმIII, №13, 04.02.2005წ., მუხ.127*

7. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი განახორციელონ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეფორმების კოორდინაციის საკითხებში ვ. ბენდუქიძემ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოლაიძელი) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ლ. ჭიკაშვილი).

8. ეს ბრძანებულება ძალაშია 2005 წლის 21 იანვრიდან.

## **მ. სააკაშვილი**

### **შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 2 თებერვლის ბრძანებულება №56-სსმIII, №13, 04.02.2005წ., მუხ.127

2. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება №112-სსმIII, №21, 15.02.2006წ., მუხ.244

3. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულება №762-სსმIII, №174, 26.12.2006წ., მუხ.2357

4. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 20 ივნისის ბრძანებულება №376-სსმIII, №87, 22.06.2007წ., მუხ.936

5. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 12 სექტემბრის ბრძანებულება №521-სსმIII, №129, 14.09.2007წ., მუხ.1411
6. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულება №661-სსმIII, №168, 28.11.2007წ., მუხ.1860
7. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 24 დეკემბრის ბრძანებულება №954-სსმIII, №157, 25.12.2009წ., მუხ.1878
8. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის ბრძანებულება №77-სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ.154
9. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივლისის ბრძანებულება №474-სსმIII, №82, 08.07.2010წ., მუხ.1184